20410484

## საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

# განკარგულება

29/07/2025 N 141

თბილისი

## შპს ,,ვიპ-კრედიტი“-ს სესხის გამცემი სუბიექტისათვის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის $52^2$ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის, ,,სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 სექტემბრის N217/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 16 სექტემბრის N235/04 ბრძანების საფუძველზე:

1. გაუქმდეს შპს ,,ვიპ-კრედიტი”-ს სესხის გამცემი სუბიექტის (საიდენტიფიკაციო ნომერი 405378265) რეგისტრაცია სარეგისტრაციო ნომრით სგს-0120216, მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N172;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,შპს ,,ვიპ-კრედიტი“-ს სესხის გამცემი სუბიექტის რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის N149 განკარგულება;
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64), მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
4. განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

მერაბ შალიკაშვილი

დეპარტამენტის უფროსი - მ.შ.
არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი